საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

გადაწყვეტილება N 882015117204-03 (09.03.2015)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No. 882015117204; 04 მარ 2015; განმცხადებელი: შპს 'ბგპ', მისამართი:). განცხადებით მოთხოვნილია უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია , მდებარე ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N42 [ზონა:თბილისი, სექტორი:სამგორი]

განცხადებაზე თანდართულია:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. მინდობილობა იხ. 882015010673
3. შეთანხმება
4. საკადასტრო აზომვითი ნახაზი (ქაღალდის და ელ. ვერსია)
5. შიდა აზომვითი ნახაზები
6. არქიტექტურის სამსახურის ბრძანება (AR1278296)

სარეგისტრაციო წარმოება უნდა შეჩერდეს და განმცხადებელს დამატებით უნდა მოეთხოვოს საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი დოკუმენტის წარმოდგენა შემდეგ გარემოებათა გამო:
თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში კახა დავითურის /01006007360/ მიერ №882015117204 განცხადებით მოთოვნილია ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N42 , შპს "ბგპ" , ID ნომერი:406102587-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე , თბილისის არქირექტურის სამსახურის 20.02.2015 წლის ბრძანება №745401-ით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის რეგისტრაცია.
გაცნობებთ,რომ თბილისის არქიტექტურის 20.02.2015 წლის №745401ბრძანება და ამ ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი ურთიერთშეუსაბამობაშია. კერძოდ პროექტის მიხედვით საცხოვრებელი ფართია 2610,52კვ.მ. საზაფხულო 156,98კვ.მ და კომერციული 784,48 ფართები, ხოლო ბრძანებით შეთანხმებულია 2596,86კვ.მ საცხოვრებელი 157,04კვ.მ საზაფხულო და 775.48კვ.მ კომერციული ფართების მშენებლობა.
,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ,,მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად“.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად , დამატებით წარმოსადგენია ურთიერთშესაბამისობაში მყოფი საპროექტო დოკუმენტაცია .

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.